აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-03/6
02/03/2022

6--4-202203021656

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ თანამშრომლებზე პრემიის გაცემის წესის შესახებ ბრძანების ძალადაკაგულად გამოცხადების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორის 2021 წლის 03 აგვისტოს #02-03/13 ბრძანებით დამტკიცდა მაუწყებლის შრომის შინაგანაწესი (შემდგომში - „შინაგანაწესი“). შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების წესი, რომლის ერთ-ერთი ფორმაა დასაქმებულზე პრემიის გაცემა,; პრემისს ოდენობას საპრემიო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს მაუწყებლის დირექტორი.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მე-9 პრიმა მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნტის შესაბამისად, მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის #01-01/28 (ოქმი #18) გადაწყვეტილებით დამტკიცებულია მაუწყებლის თანამშრომლებისათვის გასაცემი პრემიის ზღვრული ოდენობები - არანაკლებ ასი ლარი და არაუმეტეს სარგოს/გასამრჯელოს ერთმაგი ოდენობა.

მაუწყებლის დირექტორის 2016 წლის 07 ოქტომბრის #02-23/27 ბრძანებით დამტკიცებულია მაუწყებლის თანამშრომლებზე პრემიის გაცემის წესი (ცვლილება: 2018 წლის 24 დეკემბერი). ვინაიდან მაუწყებლის შრომის შინაგანაწესმა 2021 წელს განსაზღვრა თანამშრომლებზე პრემიის გაცემის წესი, რომელიც აწესებს განსხვვებულ რეგულაციას, 2016 წლის 07 ოქტომბრის #02-23/27 ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომლებზე პრემიის გაცემის წესი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

ამდენად, ვხელმძღვანელობ რა, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით, 2021 წლის 03 აგვისტოს #02-03/13 ბრძანებით დამტკიცებული მაუწყებლის შრომის

შინაგანაწესით, მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის #01-01/28 (ოქმი #18) გადაწყვეტილებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის 2016 წლის 07 ოქტომბრის #02-23/27 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებზე პრემიის გაცემის წესი“.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის 2016 წლის 07 ოქტომბრის #02-23/27 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებზე პრემიის გაცემის წესი“-ში ცვლილებების შეტანის შესახებ მაუწყებლის დირექტორის მიერ მიღებული ყველა ბრძანება.
3. იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებამ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი გასაჩივრება დაინტერესებული პირს შეუძლია კანონით დადგენილი წესითა და ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

გიორგი კოხრეიძე

დირექტორი